საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 141

11 09 2015 წელი

წერაქვის მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 სექტემბრის სხდომის N15 ოქმის მე-3 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 სექტემბრის N03/3370 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერაქვში, მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩასატარებელი ჯავახიშვილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1-ის მე-3[1] პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 2-ე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერაქვში, მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი